# საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
# ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## ბრძანება № 01-08/412

ქ. ბათუმი 28 აპრილი, 2023 წ.

**ბსუ-ს „დიპლომირებული მედიკოსის“ საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის სტუდენტთათვის 2022- 2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის გამო ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ**

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2023 წლის 27 აპრილის MES 8 23 0000464455 სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილი იქნა ბსუ-ს „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის ე.წ. მე-11 ნაკადზე ჩარიცხულ იმ სტუდენტთა შესახებ ინფორმაცია, რომელთაც **2022 - 2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში არ გაუვლიათ აკადემიური რეგისტრაცია.**

ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის №07-01/47 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის წესის" (შემდეგში „წესი“) მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად: „სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაციის შესახებ დამუშავებული ინფორმაცია, აკადემიური რეგისტრაციის (ან/და ცვლილებების რეგისტრაციის) დასრულებიდან 5 სამუშაო დღეში, ფაკულტეტების დეკანის მიერ წარედგინება ბსუ-ს რექტორს/ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სტუდენტთა სწავლის საფასურის დარიცხვის პროცესის საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური დავალიანების მქონე პირთათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების პროცედურების წარმართვის მიზნით."

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 28 ოქტომბრის N01-02/259 ბრძანებით დამტკიცებული „ბსუ-ს „დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის 2022-2023 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის" (ცვლილება 2023 წლის 18 იანვრის N01-02/06 ბსუ-ს რექტორის ბრძანებით) მესამე პუნქტის თანახმად:

„3. ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე ე.წ. **მე-11 ნაკადზე** ჩარიცხული სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესი (სწავლების პირველი სემესტრის სალექციო/სააუდიტორიო სამუშაოები)/აკადემიური კალენდარი **2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის** განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) სასწავლო პროცესი დაიწყოს **2023 წლის 06 მარტს** და დასრულდეს **2023 წლის 17 ივლისს.**

ბ) სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაცია დაიწყოს 2023 წლის 20 თებერვალს და დასრულდეს 4 მარტს."

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2023 წლის 27 აპრილის MES 8 23 0000464455 სამსახურებრივი ბარათში აღნიშნული მე-11 ნაკადზე ჩარიცხული სტუდენტების (წინამდებარე ბრძანების **დანართი N1**) მიმართ, **რომელთაც არ გაუვლიათ აკადემიური რეგისტრაცია და** არ გამოცხადებულან საუნივერსიტეტო სივრცეში, მიზანშეწონილია და კანონშესაბამისი გამოიცეს ბსუ-ს რექტორის ბრძანება მათთვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ.

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 და 66–ე მუხლების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის", **,,ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის წესი**ს დამტკიცების თაობაზე'' ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის №07-01/47 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის'' ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2022-2023 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის შესახებ'' **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 28 ოქტომბრის N01-02/259 ბრძანებით დამტკიცებული** ,,ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის'' ერთსაფეხურიანი (ინგლისურ-ენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის **2022-2023 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის'',** ,,ბსუ-ს "დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2022-2023 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 28 ოქტომბრის N01-02/259 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' **ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 18 იანვრის N01-02/06 ბრძანების,** „ბსუ-ს რექტორის, პროფესორ მერაბ ხალვაშის ქალაქ თბილისში მივლინების შესახებ" 2023 წლის 26 აპრილის N01-14/159 ბრძანების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2023 წლის 27 აპრილის MES 8 23 0000464455 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამაზე ე.წ. მე-11 ნაკადზე ჩარიცხულ ზოგიერთ სტუდენტს **(დანართი №1),** რომელთაც არ გაუვლიათ აკადემიური რეგისტრაცია, შეუჩერდეს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის გამო (2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სწავლის საფასურის დარიცხვის გარეშე).
2. ბრძანება აისახოს უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

3. წინამდებარე ბრძანება ითარგმნოს ინგლისურ ენაზე, ხოლო ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს თითოეული სტუდენტისათვის ინდივიდუალურად გაცნობა (დეკანის ოფისის მიერ დაეგზავნოს თითოეული სტუდენტს, მათ ხელშეკრულებაში აღნიშნულ ან/და განახლებულ საკონტაქტო მისამართზე/ელ. ფოსტაზე).

4. საქმისწარმოების სამსახურმა (კანცელარიამ) უზრუნველყოს 3 დღის ვადაში წინამდებარე ბრძანების გამოცემის შესახებ ინფორმაციის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის, ასევე სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის" გაგზავნა.

5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

6. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს და სტუდენტებს (ინგლისურენოვან თარგმანთან ერთად და გაგზავნის დამადასტურებელ წერილთან ერთად განთავსდეს მათ პირად საქმეებში).

7. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

**რექტორის მოადგილე** **ანზორ ბერიძე**

„ბსუ-ს „დიპლომირებული მედიკოსის“ საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის სტუდენტთათვის 2022- 2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის გამო ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ"

**ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 28 აპრილის № 01-08/412 ბრძანების**

**დანართი №1**

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის ე.წ მე-11 ნაკადზე ჩარიცხული **43 სტუდენტი,** რომლებსაც **2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში არ გაუვლიათ აკადემიური რეგისტრაცია**

**მე-11 ნაკადზე ჩარიცხული სტუდენტები - 43**

| № | სტუდენტის სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა | ბსუ-ში ჩარიცხვის ნაკადი | ბსუ-ში ჩარიცხვის ბრძანება (ან/და ცვლილება) |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | ანგელ პინდუ | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/09, 23.01.2023 |
| 2. | აჯინკია რაგჰუნათ კულკარნი | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/25, 31.01.2023 |
| 3. | სიდდჰანტ ვიშალ რაუტ | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/25, 31.01.2023 |
| 4. | ჯიოტი გუფთა | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/25, 31.01.2023 |
| 5. | ვიომ რაჯეშკუმარ ბაროტ | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/25, 31.01.2023 |
| 6. | შრუტი ნიტინ პატილ | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/25, 31.01.2023 |
| 7. | აგნელ თომას | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/31, 02.02.2023 |
| 8. | ჯორჯ რეგინსონ ალბინსონ | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/31, 02.02.2023 |
| 9. | ჯუდიტ ბინ შავ | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/33, 03.02.2023 |
| 10. | პრანჯალ ნილეშ მოხარე | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/33, 03.02.2023 |
| 11. | შივარაჯკუმარ რამაპპა ჯივოჯი | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/33, 03.02.2023 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12. | ნიდჰი ჩინნუ ჩერიან | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/35, 06.02.2023 |
| 13. | აიმან საბაატ აჰმედ | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/35, 06.02.2023 |
| 14. | რიჩატნა პუნნაგუ | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/35, 06.02.2023 |
| 15. | გუნაკიირთჰანა გუნდლურუ | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/36, 07.02.2023 |
| 16. | სურია სურეშ გაიათჰრი | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/36, 07.02.2023 |
| 17. | სუშანთ ონგოლე | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/36, 07.02.2023 |
| 18. | მეჰრინ ფატიმა ვარსი | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/53, 17.02.2023 |
| 19. | რუპალი ანანდ პაკა | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/53, 17.02.2023 |
| 20. | მანსი | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/58, 20.02.2023 |
| 21. | პრიია იადავ | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/58, 20.02.2023 |
| 22. | სრუთჰი მურალიდჰარან ნაირ | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/79, 22.02.2023 |
| 23. | ადარშ კრიშნა კუნნათოდიილ გოპიკრიშნან | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/79, 22.02.2023 |
| 24. | პრადიიპტა ჯიოშნანაჯალი | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/79, 22.02.2023 |
| 25. | აკაშ რაჯეშ | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/79, 22.02.2023 |
| 26. | ანჯანა სუნილ კუმარ კრიშნა | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/79, 22.02.2023 |
| 27. | მოჰამედ სიამ | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/79, 22.02.2023 |
| 28. | რუჩიტა დილიპ სონავანე | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/79, 22.02.2023 |
| 29. | აიუში | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/79, 22.02.2023 |
| 30. | შარვარი მილინდ პატილ | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/79, 22.02.2023 |
| 31. | ბრიჯალ აჯიტკუმარ პატელ | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/103, 24.02.2023 |
| 32. | დჰრუვინ ჯაიმინბჰაი ვიასკარ | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/103, 24.02.2023 |
| 33. | შივანი ვარი | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/103, 24.02.2023 |
| 34. | ნითეშ გუპთა | | დიპლომირებული | მეთერთმეტე | №01-08/103, |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | მედიკოსი | | 24.02.2023 |
| 35. | დჰარშინი გაჯენდირან | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/103, 24.02.2023 |
| 36. | ანეეშ მაჰეშ დესაი | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/103, 24.02.2023 |
| 37. | ადარშ ვეერამალლა | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/103, 24.02.2023 |
| 38. | აადისრეე ჩეენივილა ამრით | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/110, 27.02.2023 |
| 39. | ქურეში მოჰდ საიფ | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/203, 07.03.2023 |
| 40. | პანეენდრა პატიბანდლა | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/203, 07.03.2023 |
| 41. | შრეიას შაიჰალ | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/203, 07.03.2023 |
| 42. | საისუმანტჰ იალლამმაგარი | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/203, 07.03.2023 |
| 43. | ვიას მიტალი ვიჯაი | | დიპლომირებული მედიკოსი | მეთერთმეტე | №01-08/231, 10.03.2023 |